



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №38

2011 წლის 26 აგვისტო
ქ.ქობულეთი

სამშენებლო სამუშაოების ან მშენებლობის ეტაპის მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში დაუსრულებლობის შემთხვევაში ჯარიმის ოდენობების განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტისა და „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 23¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1

განისაზღვროს ჯარიმის ოდენობები ქობულეთის მუნიციპალიტეტში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების ან მშენებლობის ეტაპის მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში დაუსრულებლობის შემთხვევაში, შესაბამისი ზონების მიხედვით (დანართი №1).

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნ. ბერაძე

ჯარიმის ოდენობები ქობულეთის მუნიციპალიტეტში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების ან მშენებლობის ეტაპის მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში დაუსრულებლობის შემთხვევაში, შესაბამისი ზონების მიხედვით

№	ზონა	ზონის აღწერა	ჯარიმის ოდენობა (ლარებში) ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შემოწმების აქტის შედგენის დღისთვის არსებული სამშენებლო პროექტით გათვალისწინებული ასაშენებელი შენობა-ნაგებობის საერთო ფართობის თითოეულ კვადრატულ მეტრზე
1	I ზონა	ქ. ქობულეთი, თამარ მეფის სანაპირო მთლიანად, მეგობრობის ქუჩა მთლიანად, დასავლეთით მიმდებარე ტერიტორიებით ზღვის სანაპირომდე, მემედ აბაშიძის ქუჩის დასავლეთი მხარე მდინარე „კინტრიში“-დან ქ.ქობულეთის ადმინისტრაციულ საზღვრამდე, დავით აღმაშენებლის გამზირის ორივე მხარე, დავით აღმაშენებლის გამზირისა და თამარ მეფის სანაპიროს დამაკავშირებელი ქუჩები და გადასასვლელები, ზღვის სანაპირო ზოლი.	0.25
2	II ზონა	ქ.ქობულეთის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული სხვა დანარჩენი ტერიტორიები. (ქუჩები, მოედნები, გადასასვლელები სხვა დანარჩენი ტერიტორიები.)	0.20
3	III ზონა	სენაკი-ფოთი-სარფის ავტომაგისტრალის დასავლეთი მხარე ციხისძირის თემისა და დაბა ჩაქვის ჩათვლით ზღვის სანაპირომდე, ხოლო აღმოსავლეთით 100 მეტრი რადიუსში მოქცეული ტერიტორიები.	0.15